ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 31

სხდომის ჩატარების დრო:
29 მარტი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი.**

ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თეა ჯუღელი**
იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:
დიმიტრი მხეიძე, გია ბასილაძე, პაატა ლილუაშვილი, ბაქარ მახარაძე, ბექა ქებულაძე, კახა გაბუნია, ხათუნა არველაძე, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 11 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარეში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი **ბატონი დემურ ინანეიშვილი**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი **ბატონი ირაკლი გიორგაძე**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **ქალბატონი თინათინ ბერიშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი **ქალბატონი რუსუდან ჩინჩალაძე**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის სპეციალისტი **ბატონი დიმიტრი ახალაძე.**

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

3. „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისისა და თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მიერ დაფუძნებული სასპორტო დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2012 წლის 18 იანვრის N242 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაღისკიდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

ზემოაღნიშნული საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით დებატები არ წარმართულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიების წევრები: კახაბერ გაბუნია, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსმა, ბატონმა **დემურ ინანეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „ეს წესი მანამდე თქვენ არ გქონდათ და ახალია ხომ, ასევე კანონშიც გარკვეული ცვლილებები შედის ხომ?“

დემურ ინანეიშვილი: „დიახ, ეს ახალია და პირველი აპრილიდან უნდა ამოქმედდეს კანონის მიხედვით. საჯარიმო თანხებთან დაკავშირებით შედის კანონში ასევე ცვლილებები, საჯარიმო თანხები საკმაოდ არის გაზრდილი.“

პაატა ლილუაშვილი: „კანონდამრღვევის დაკავების უფლება თუ გაქვთ?“

დემურ ინანეიშვილი: „დაკავების არა, თუ ამ დადგენილებას არ გაითვალისწინებს, შემდეგ ხდება დაჯარიმება და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა.“

დიმიტრი მხეიძე: „მოსახლეობა აუცილებლად უნდა იქნას ინფორმირებული ამ ჯარიმების ოდენობის გაზრდის შესახებ.“

თედო მესხი: „მიშენებებიც ექცევა ხომ ამ დარღვევის ფარგლებში? ვფიქრობ, ყველა მრავალბინიან საცხოვრებელს ჰყავს ამხანაგობა და ამხანაგობის თავმჯდომარეები უნდა გავაფრთხილოთ, ამ ცვლილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ მოსახლეობას.“

დემურ ინანეიშვილი: „დიახ, მიშენებებიც ითვლება.“

თეა ჯუღელი: „ჩვენ კომუნიკაციის მექანიზმები უნდა მოვიფიქროთ, რომ მოსახლეობის ინფორმირება მოვახდინოთ. შეიძლება სმს შეტყობინებების დაგზავნა, იგივე ამხანაგობების ინფორმირება, ქუთაისის ტერიტორიაზე დეველოპერების ინფორმირებაც რომ მოხდეს ან ტელევიზიის საშუალებით ინფორმაციის გავრცელება.“

რუსუდან ჩინჩალაძე: „პროგრამა, რომელშიც ჩვენ ვმუშაობთ, გვაძლევს საშუალებას ავტვირთოთ ასეთი საჭირო ინფორმაციები და იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ სამშენებლო სფეროში არიან ჩართულები - დეველოპერები, არქიტექტორები და ა.შ., შეეძლებათ ინფორმაციის გავრცელება. ეს არ არის სიახლე, ამ კანონპროექტზე წელიწადზე მეტია მიდის მუშაობა, ვრცელდება ინფორმაციები, მე ისიც კი გამიგია, რომ ასწრებდნენ ადამიანები რაღაცის უნებართვოდ გაკეთებას, იმიტომ რომ მათთვის ცნობილი იყო ამ ცვლილებების შესახებ. მე ვფიქრობ, თუ ჩვენ ამას ახლა დავიწყებთ ამ კამპანიის წარმოებას, რადგან მანამდე ჯარიმა იყო მცირე რაოდენობის ჩვენ ამით დაშვებას ვაკეთებდით და გამოდის ვამბობდით, რომ უნებართვო მშენებლობები აქტიურად მიმდინარეობდა ჯარიმის სიმცირის გამო. ასე ამ თემის გაშლა არ შეიძლება მხოლოდ იმიტომ გაფრთხილდით და უნებართვო მშენებლობები

არ აწარმოოთ, რადგან ჯარიმაა გაზრდილი, ჩვენი გადასახედიდან მართალი არ იქნება. მათთვის ინფორმაცია მიწოდებულია, იციან ადამიანებმა, მით უფრო ამხანაგობებმა სულ რომ ჯარიმას თავი დავანებოთ, ამგვარი კანონდარღვევით მთლიან კორპუსს უქმნის საფრთხეს, ერთხელ, რომ დაჯარიმდება და იწვნევს საკუთარ თავზე, გამოასწორებს, მითუმეტეს პირველივე გაფრთხილებაზე არ ჯარიმდებიან, ეძლევათ შესაძლებლობა აღადგინონ პირვანდელ მდგომარეობაში ობიექტი. ამ ცვლილების მიზანია პრევენცია და იმედი გვაქვს, რომ იმ მდგომარეობას, რაც ახლა ქალაქში გვაქვს გამოსწორებს."

ხათუნა არველაძე: „ჩვენი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ვფიქრობ ეს საჯარიმო სანქცია ძალიან დიდი თანხაა."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიების წევრები: კახაბერ გაბუნია, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-6 წევრი, თავი შეიკავა- ხათუნა არველაძემ, თედო მესხმა, ლაშა შალამბერიძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის" მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისისა და თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მიერ დაფუძნებული სასპორტო დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ნორმების განსაზღვრის შესახებ" თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2012 წლის 18 იანვრის N242 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ირაკლი გიორგაძემ.**

(განკარგულების პროექტი

ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ი.გიორგაძემ** აქვე განმარტა: „ეს წესი, რომელიც ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს, ითვალისწინებდა ქვეყნის შიგნით სპორტსმენი ბავშვების მივლინების შემთხვევაში კვების დაფინანსებას 15 ლარის, სასტუმროს დაფინანსებას 15 ლარის ოდენობით. როგორც მოგეხსენებათ, მივლინების ხარჯებში ცვლილება შევიდა მინისტრის ბრძანებით, 15 ლარი გაიზარდა 30 ლარამდე. გვინოდა საკრებულოს დაემტკიცებინა ახალი წესი, თუმცა ბიურომ გადაწყვიტა, რომ კანონის შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება ეს წესი ძალადაკარგულად გამოცხადდეს და მერის ბრძანებით მოხდეს ამ საკითხის დარეგულირება, 25 ლარი იქნება ერთი დღის კვების მივლინების თანხა, ხოლო სასტუმრო 30 ლარი.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „ამ საკითხთან დაკავშირებით დასკვნა მოამზადა ჩვენმა იურიდიულმა განყოფილებამაც, ბატონი დიმიტრი გვესწრება ამ სხდომაზე. რეალურად კანონიდან გამომდინარე ჩვენ მხოლოდ ა(ა)იპების შექმნის მიზანშეწონილობაზე ვაძლევთ თანხმობას.“

ირაკლი გიორგაძე: „რეალურად ჩვენ ამ ცვლილებით საბიუჯეტო თანხების განკარგვის წესს ვადგენდით და ამიტომაც წარმოვადგინეთ საკრებულოში, თუმცა არ არის პრობლემა მერი ბრძანებით დაამტკიცებს ამ საკითხს.“

ხათუნა არველაძე: „თუ კანონში ჩავიხედავთ, ამ საკითხის განხილვა ცდება საკრებულოს ფუნქციას და ეს მერიის უფლებამოსილებაა.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიების წევრები: კახაბერ გაბუნია, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისისა და თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მიერ დაფუძნებული სასპორტო დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2012 წლის 18 იანვრის N242 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი

ოქმს თან ერთვის)

აქვე **თინათინ ბერიშვილმა** განმარტა: საუბარია გალერეის ფართებზე, რომელიც უზუფრუქტით იყო გადაცემული კულტურის ა(ა)იპ-ზე. მომზადდა მერის ბრძანება ფართების დაბრუნებაზე მერიისთვის ურთიერთშეთანხმების აქტით და შესაბამისი უზუფრუქტის შეწყვეტაზე. 1020 კვ.მ არის სულ ჯამში ეს ფართი და ნაცვლად ამ ფართისა კულტურის ა(ა)იპ-ს უზუფრუქტით გადაეცემა 30 კვ.მ-ით ნაკლები, ეს არის ორი ოთახი და ამ ორი ოთახის გადაცემა ხდება საზოგადოება „ბაღისკიდისათვის“. ჩვენ გვქონდა საკრებულოში გამოგზავნილი საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ მომზადებული პროექტი, მაგრამ დაგვიბრუნა საკრებულოს იურიდიულმა განყოფილებამ დასკვნის საფუძველზე, რომ ეს არ არის საკრებულოს თავმჯდომარის პრეროგატივა, ამის საფუძველზე მოვამზადეთ მერის ბრძანება უზუფრუქტის შეწყვეტაზე, გაფორმდა შესაბამისი აქტი კულტურის ა(ა)იპ-თან ფართების დაბრუნებაზე და ეს იქნება საფუძველი ამ ორი განკარგულების.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები არ წარმართულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: კახაბერ გაბუნია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაღისკიდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი

ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით დებატები არ წარმართულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: კახაბერ გაბუნია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბაღისკიდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით,

უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **რუსუდან ჩინჩალაძემ.**

რუსუდან ჩინჩალაძემ აქვე განმარტა: „სამშენებლო საქმიანობის შესახებ კოდექსში 2019 წლის 31 მაისს განხორციელებული ცვლილების შედეგად გაჩნდა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, 2028 წლის 1-ელ იანვრამდე ყველა ქალაქს მასშტაბის და მოსახლეობის რაოდენობის მიუხედავად, უნდა ჰქონდეს განაშენიანების გენერალური გეგმა დამტკიცებული. ეს გეგმა ორი ეტაპისგან შედგება, პირველი არის კონცეფცია - მოკვლევითი ნაწილი ანუ მთავარი გენგეგმის საპროექტო დავალება, რომლის მოსაწონებლადაც და დასამტკიცებლადაც ვართ ჩვენ ახლა თქვენს წინაშე წარმოდგენილები, ეს არის პირველი ეტაპი, რომელიც თავის მხრივ, შედგებოდა სამი ეტაპისაგან: არსებული სიტუაციის შესწავლა, რუკებზე გადატანა, მონაცემების მოგროვება ჩაღრმავებული კვლევების საფუძველზე, ბევრი მიმართულებით იქნა გაწეული სამუშაოები. საერთოდ გენგეგმაზე მუშაობის ყველა პროცედურას, არსობრივ მხარესაც და იურიდიულსაც განსაზღვრავს მთავრობის N 260-ე დადგენილება, რომელიც დეტალურად გაწერს როგორ უნდა წარიმართოს ეს პროცესები. მინდა გითხრათ, რომ ყველა კომპონენტი დაცულია ჯგუფის მიერ, რომელიც გამოვლინდა ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ ჩატარებული კონკურსის მიერ. წელიწადნახევრის მანძილზე იმუშავა ჯგუფმა, მინიმუმ 2 შეხვედრის ჩატარება ევალებოდათ და ჩატარდა 18 საჯარო განხილვა. თავის მხრივ, ეს შედგება სამი ეტაპისგან, როგორც აღვნიშნე, პირველ ეს არის მონაცემების შეგროვება, მეორე, მონაცემებზე დაყრდნობით და შევხედრებიდან გამოტანილი დასკვნებით ხედვის ჩამოყალიბება, რაც ასევე ცალკე დოკუმენტია, ხოლო მესამე ეტაპი არის ხედვის გაციფრულება, ასე ვთქვათ, კონცეფცია, ხედვის სიცოცხლისუნარიანობის ჩვენება და რა მიმართულებებსაც ხედვაში დავსახავთ, 20 წლიანი არის გენერალური გეგმები და 20 წლის მანძილზე სად ვართ დღეს და სად უნდა მივიდეთ აი, ამ კონცეფციის საფუძველზე. აი, ეს გახლავთ მთლიანად ამ დოკუმენტის შინაარსობრივი მხარე. მინდა გითხრათ, რომ კონცეფციაში ქალაქის შესაძლებლობებზეა საუბარი და ძალიან ბევრი ამოცანაა დასახული, იმისათვის, რომ ჩვენ საბოლოოდ მივიღოთ 100 პროცენტით შესრულებული ყველა

შესაძლებლობა. მინდა აღვნიშნო, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი, ერთადერთია საქართველოში, რომელმაც შეძლო თავად უზრუნველეყო გენერალური გეგმის პროცესის დაწყება და დასრულება. უმეტესად ქალაქებში, ინფრასტრუქტურის სამინისტროს უშუალო მონაწილეობით მოხდა დამტკიცება. ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ შესაძლებლობა გვექნება დავიწყოთ ქალაქის ისტორიული ზონის არეალის დადგენისათვის დოკუმენტის მომზადება, რათა ეს ჩვენი ისტორიული ნაწილი უფრო მეტად დაცული გვქონდეს. ეს დოკუმენტი გახლავთ რანგით ზემოდან მესამე, ამის ზემოთ არის მულტიმუნიციპალური გენერალური გეგმები და შემდგომ ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური გეგმა, ხოლო ამ დოკუმენტის ქვემოთ გახლავთ გარემოს დეტალური გეგმები, რომელთა რაოდენობასაც განსაზღვრავს ეს დოკუმენტი. ხშირად მოლოდინები არასწორია ამ დოკუმენტის მიმართ, რეალურად ეს არის განაშენიანების დოკუმენტი, მაგრამ ამ დოკუმენტის მიღების შემდგომ ვერ ვიტყვით, რომ რომელ ზონაში როგორი სართულიანობით ან რა ფუნქციით შეიძლება მშენებლობის განხორციელება, ეს არ არის ამის გადამწყვეტი დოკუმენტი, ამისათვის კიდევ შემდგომ დოკუმენტები შესამუშავებელი, მაგრამ ეს არის ზოგადად და ძირითადად ის მიმართულებები და ხედვები, რომლისკენაც ქუთაისი შეიძლება მიდიოდეს. მე დავასახელებ ამ ოთხ მიმართულებას, ეს არ გახლავთ რაიმე სიახლე ჩვენთვის, რაიმე გამოგონილი მდგომარეობა ქალაქისა, ეს არის კვლევების საფუძველზე დადგენილი, უნდა ვეცადოთ, რომ რეალურად შევასრულოთ დასავლეთ საქართველოს ცენტრის ფუნქცია, ლოჯისტიკის მიმართულებით იქნება თუ ტურისტული ჰაბის მიმართულებით, ევროპის კარიბჭე - ეს არის გამოძახილი ჩვენი ისტორიის, ჩვენ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს ამ კუთხით. ასევე, მნიშვნელოვანია მიმართულება, რომელიც ქუთაისში საერთაშორისო უნივერსიტეტის არსებობამ განაპირობა, ეს არის ცოდნის სინერგიული ქალაქი, აქ ყველა უნივერსიტეტის როლი არის კარგად გამოკვეთილი, ასევე ჩვენი ფიზიკა-მათემატიკური სკოლის რესურსები და ბაზა, შესაძლებლობები. ბევრი ამოცანა არის დასახული იმისათვის, რომ ინტელექტუალური რესურსის გადინება არ მოხდეს ქალაქიდან ტექნიკური და ციფრული მიმართულებით. მეოთხე გახლავთ ეკომიმართულება, ეკოსმარტ ქალაქის მიმართულებას ამუშავებს ცალკე ჩვენი მუნიციპალიტეტი საგრანტო კონკურსის ფარგლებში და ეკომიმართულების კუთხით მინდა გითხრათ, რომ თუკი საერთაშორისო ნორმებს შევადარებთ არ არის ქუთაისში მდგომარეობა ძალიან მძიმე, შეგვიძლია ვიყოთ მოწოდების სიმაღლეზე, პოტენციალი ამისათვის ქალაქს გააჩნია."

საკითხთან დაკავშირებით დებატები არ წარმართულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: კახაბერ გაბუნია.

ღია კენჭისყრით, (6 მომხრე, თავი შეიკავა - ხათუნა არველაძემ, თედო მესხმა, ლაშა შალამბერიძემ, რომან ქვაჩაკიძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.

მუხლი 2. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
თეა ჯუღელი